კვირა, 5 აპრილი 1915 წ. ფასი 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 9

გამოდის ყოველ-კვირეულად. მასალები გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе

88
915

სალამი მუშტისაგან.

(„მათრახის“ კორესპონდენტებს).

„ბოხოხლუსტი“ *)

(ჟურნალი ნ. გოტრიძეს)

ვი! ის რა ოინი მამივიდა კაცო, რომ მამაგონდება შიშისაგან პარალი!ი მამდის რაღა! შარშან ამ დროს, ერთიც ენახოთ, მამდის „პოვესტკა“, თუ სუდში ხარ დაბარებულიო, ფლანი კაცის გაბრიაბრუებისთვისაო. ვკითხე არშაკას თუ, ბიკო, ეს გაბრიაბრუება რალა ჯანდაბა არის-მეთქი! არშაკა მეუბნება: „ვა, ნეუფელი არ გესმის! ამიდა გიქმევია ვიღაცისთვის და უჩივლიაო. ალბათ ერთი გოროდოვის მოსთელავდი სადმე ბნელ ქუჩაშიო, ან არა და ვინმე ჩინოვნიკს ჩაფარებდი შლაპაშიო“. ვიფიქრე, ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერი ვერ მოვიფიქრე.

ტიგრანა“ ტერ-ტრაბახიანცი.

მოაწია სრკმა, გათენდა დილა, დავიბანე ხელპირი, ვახსენე წმინდა სურფ-გეურქის მადლი, გამოვისახე პიჯვარი და წაველი სუდში. შავაღე კარები თუ არა, სუდია კითხულობს: „ტიგრან პეტროუზიჩ ტერ-ტრაბახიანც პაჟალიტე სუდაო“. მეც მიველი და დავდექი სუდის წინ. იქვე ჩემს გვერდით ერთი პატარა ლილიპუტი კაცი დგას. ისე გაფხორალა,

*) ამ პიესის გმირს ტიგრანას ასამართლებდნენ ღმერთის ცუდათ მოხსენიებისათვის, ანუ რუსულად რომ ვსთქვათ, обвиняли въ богохульствѣ. სიტყვა „ბოგოხულსტვო“ ტიგრანამ გაიგო როგორც „ბოხოხლუსტი“ და ამ რიგათ დაიბადა გაუგებრობა ტიგრანასა და მოსამართლეს შორის. სწორედ ამ გაუგებრობაზედაა აშენებული ეს სცენა.

ავტორი.

თითქოს მამალი ინდაურიაო. ცხვირი დამწკა სედლოს მოუგავს და სახე კოლოტივით გასიებული აქვს ბევრი ოტკის ყლაპით. ერთი სიტყვით, ისეთი მაიმუნი ვინმეა, რომ ორშაბათს სიფთაზე ნახოს კაცმა, ისე დაინავსება, რომ იმ კვირაა ხეირს ვეღარა ჰნახავს. სუდია მეეხნება: „ვას ობვინაიტ „ბოხოხლუსტეიო“. ვა, გავშეშდი კაცი, ვერაფერი ვერ გავიგე, თუ რა მითხრა სუდიამ. კაცო, რუსული წყალივით ვიცი რაღა! აი ჩვენი ფეჩნიკი, ვანკა რუსი, არაყში რომ დაიხრჩო და დავმარხეთ, იმის საფლავზე რუსული რეჩი მე არა ვსთქვი! რა იქა და რა სხეაგან. რაც უნდა ტრუდნი სიტყვა იყოს, მაინც გავიგებ, მაგრამ ეს სიტყვა „ბოხოხლუსტი“ ვერ გავიგე. სრულებით იმის ზნაჩენიას ვერ მიეხვდი. ვიფიქრე, ტვინს ძალა დავატანე და ბოლოს მოვიგონე. ალბათ, აი ამას წინათ ჰავეტიქას ტრახტირში, რომ ხლუსტსა ვთამაშობდით და გარადოვმა დაგვიპირა, იმისი საქმე თუ არის მეთქი. ვეებნები: გოსპოდინ სუდია, ახლა თქვენცა გეკერათ?! არა, ხლუსტი რა ჩემი საქმეა! ხანდახან მეფურნესთან კონჩინას თუ ვითამაშებ, ისიც არტალაზე, ან ხაშზე, თორემ აბა ვინ მე და ვინ ხლუსტი მეთქი. განა მე მაგისთანა სიბრიყვეს ჩავიდენ მეთქი! პრავოჩიკი მეებნება: „არა, ძმაო, შენ ვერ გაიგეო; ხლუსტი კი არა „ბოხოხლუსტეო“, ესე იგი ღვთის უარის ყოფააო, ღმერთი ცუდათ მოგიხსენებიაო“. ვაა, ამ სიტყვაზე სულ გავშრი კაცი. ვიცი რაღა, რომ ეს ძალიან ფინთი სტატია არის. ვეებნები: რომელი ღმერთი, რა ღმერთი! არა, რომელი ანარხისტი მე მნახეთ, რომ ღმერთი ცუდათ ვახსენო მეთქი. გოსპოდინ სუდია, ია კაჟდი ნიდელი ცერკვი ხოდიმ, სეფისკვერ ბერიომ, კაკ ფურგენწკა დიშლა, ტაკო სვეჩკი სტაველუ კაჟდი იკონუ და ნეუჟელი ია ბოდა რუგალ, რაზვი ვი ვერიტ?! სუდიამ ხელი მიიშვირა იმ პატარა კაცისკენ, ჩემს გვერდით რომ იდგა და მითხრა: ადინ სლოვომ ეტა გოსპოდინ ჟალუიცა, შტო ვი რუგალ ევო ბოდაო“. ვა, მე გამეცინა, რომ სუდიამ ის ჩემი ტარაკანი მოჩიოვნი მიჩვენა. მე მეგონა ერთი დიდი ვინმე მიჩივის მეთქი. ვეებნები: გოსპოდინ სუდია, რაზვი ეტა ლილიპუტ გოსპოდინ?! ესლი ტაკი ლიაგუშა გოსპოდინ, ზნაჩიტ ია ვაშა ბლოგოროდია მეთქი, რაზვე ტაკი გოსპოდინ ბოდა იმეიტ! ევო ბოდა ვსეგდა მოჟნა რუგატ. ია დუმილ, შტო პრავდა ბოლშოი დელა მეთქი. თან ამას ვლაპარაკობ და თან ისეთი ჯავრი მამივიდა, რომ ვეღარ მოვითმინე, მინდოდა ამედრასტებინა და ისე დამეზილა, როგორც პასკის ცომი, მაგრამ იმისთანა დამიყვირა სუდიამ, იმისთანა, რომ კინაღამ შიშით ზავეშჩანია გავაკეთე. მერე აიღო ქაღალდი და დაიწყო წერა. სწერდა მაგრამ სულ დორბლებსა ჰკრიდა ჯავრისაგან. სულ ხუთ მინუტში პასტაველნია გაიკეთა და წამიკითხა: „ზა ოსკორბლენია გოსპოდინ“, ეოდკოვა ვზალი ზასედანია სუდიაო“ ი ნა „ბოხოხლუსტეიო“ პრისუედაიცა ტიგრანუ პეტრუზიჩუ ტერ-ტარაბახიანცუ ოდინ გოდ ტურმაო“. ვეებნები: გოსპოდინ ეტა კაკი ზაკონ, ზა კაკი ნიბუდ ხლუსტ ოდინ გოდ ტურმა?! ესლი ია იგრალ ეშჩო ნიჩავო, ნო ია კოროში კონჩინი ნიჩავო ნი ზნაიუ. დავოლნა ღავარიტო, ერთი ისეთი დაიყვირა სუდიამ, რომ გეგონებოდა ამერიკანწკი პაროაზის ტრუბა�ო?! დაუთახა პრისთავს და ეთხრა: „ვაზმიტი ეგო ტურმაო“. ვა, ხალხნო, ამისთანა ცეცხლი გინახავთ! ხლუსტის გულისათვის ერთი წელიწადი ტურმაა?! ნეუჟელი ქვეყანაზე ზაკონი არ არის?! არა, ეს „ბოხოხლუსტი“ რაღა ჯანდაბაა კაცო! კაცმა ცხრა ენა ვიცი და რუსულისთანა წმინდათ ერთი არ ვიცი, მაგრამ მე ეს „ბოხოხლუსტი“ ჩემს დღეში არ გამიგონია რაღა! ნე ღავარიტი მნოგოვო, ვოზმიტი ეგო ტურმაო, დაიყვირა სუდიამ. ვეხვეწები: ლუბეზნი სუდია, ვსიაკი ღრუბერნატორი ი მინისტერი რაზნი კარტი იგრაიტ, ემუ ნიჩავო ნი გოვარიშ, ა მენე ბედნი ტიგრანუ ზა კაკი ნიბუდ ხლუსტ ადინ გოდ ტურმა? მალჩიტი, დურაკო, დაიყვირა და მითხრა: „უბარაისა, ატო ია ეშჩო ადინ გოდ პრიბავლუო“, ეხ, ენა ჩავიგდე. რაღა, რას ვიზამდი. ვიფიქრე, ამაზ რომ ასე სრაზუმ წელიწადები მიმტოს, კარტეკენი რამოტამდის ამიყვანს მეთქი და ისეე გავჩუმდი, მეტი რა ჩარა მქონდა. ამამდგა გვერდში პრისტავი, გამიკეთა ბადრუჟკი, თითქოს ერთი ძალიან ქორფა ბარიშნა ვიყო და ისე ჩამამიყვანა სუდიდან. თურმე ბატონ სუდიასთან ამიტომ მეარშიყებოდა, რომ კაცის ამიკიატის ნება არ ჰქონიათ პრისთავებს და ეშინოდა სუდიასი. როგორც გამამაცილა თუ არა სუდის ეზოს, ერთი ისეთი პანღური ამამკრა, რომ კინაღამ ნათლუზში გადამგდო. მერე გადამცა აკალიბშნიკს და გოროდოვებს, რომლებმაც წამიყვანეს ვირის ამანოში.

ახ, ერთი უნდა ვნახავდე სადმე იმ ჩემ მამჩივანს, რომ ცხვირი კეფაზედ მივაკა და ელენთა გადმოვავდებინო. არა ის სუდია, ის ბარიშნების პრისედატელი დამწკათ რომ ყვიროდა: „მალჩიტი, მალჩიტეო“, ერთი უჯაქვოთ უნდა ვნახო სადმე, რომ ისე გაუთქვიფო ის გულ-მუცელი, რომ პაგროდი და რევოლიუცია გაუჩინო შიგ, მაგრამ სად და როდის?!.

ᲒᲝᲒᲘᲐ.

ქალაქის „ტრამვაი“

საქმეზე მიმეჩქარებოდი დილით. ჩავირბინე ჩვეულებრივ ადგილს, სადაც ვაგონები ჩერდება და უყურებ, როდის ჩამოიელის ჩემი ვაგონი 20. კარგა ხანს მიმინდა ლოდინი. ჯერ ვიფიქრე: უეჭველია კონდუქტორი პლათფორმაზე მდგომ მეცამეტე მგზავრს ეკამკრება—ქვეით ჩადი, მეტი ხარო, მგზავრი კი ჯიუტობს არ ჩავალ, მეჩქარებაო.

იმდენ ხანს ველოდი ვაგონს, ფეხით რომ წავსულიყავ, უკვე მივიდოდი სამსახურში. მერე ვიფიქრე—იქნება გაფიცვაა?.. ჰო, მართლა! ტრამვაი ხომ ქალაქის ხელში უნდა გადასულიყო...იქნება გადასცეს კიდეც ბელგიელებმა? უეჭველია გადასცეს. ბელგია ხომ ნემეცებმა დაიპყრეს და დაწიოკებულ ბელგიელებს რაღა ჩვენი ტრამვაისა სცხელათ.

ცოტა ხანს დავიცადე და მერე მოწყენილი მივმართე იქვე მდგომ პოლიციელს.

— ბატონო, გოროდოვიი! თუ შეიძლებოდეს, მიბრძანეთ, რა ამბავია დღეს რომ ტრამვაის ვაგონები არა ჩანს? რა მოხდა?

პოლიციელმა კაკვირვებით შემომხედა.

— სადაური ხართ?

— ქალაქელი.

— და მერე არ იცით, რომ 15 მარტიდან ტრამვაი ქალაქის გამგეობას გადაეცა?

— მერე?

— მერე და მერე. მას აქეთ ტრამვაის ვაგონები შუადღის 12 საათზე გამოდიან. საცაა პირველი ვაგონი ჩამოიელის.

მართლაც მალე ჩამოიარა პირველმა ვაგონმა, მაგრამ ჩვეულებრივ ადგილას არ გაჩერებულა და ისე ელვასავით ჩამიქროლა, რომ პოლიციელმა ძლივს მოასწრო „ჩესტის“ მიცემა.

ვკითხე პოლიციელს:

— რა ამბავია? „ჩესტი“ ვის მიეცი? ან რატომ არ გაჩერდა ვაგონი?

— ვერ იცანით? ვაგონში ისხდნენ: თვით გალავა ხატისოვი, მისი თანაშემწე არვუთინსკი და უპრავაში მოსამსახურე თვრამეტი არგუთინსკი. ეგ ვაგონი არსად არა ჩერდება, პირდაპირ ქალაქის გამგეობამდე მიდის.

ცოტა ხანს შემდეგ ჩამოიარა მეორე ვაგონმა. არც ის გაჩერდა.

— ეგ ვაგონი უპრავაში მოსამსაგურეთათვის არის. სამსახურში მიეჩქარებიან და იმიტომ არა ჩერდება ვაგონი. არც კონდუქტორია შიგ, რომ ბილეთები გაყიდოს. ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი მუქთათ დადიან.

— ყველანი მუქთათ დადიან?

— დიაღ. ტრამვაი ხომ ქალაქისაა და რა ჭკუაა ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებმა ფული გადიხდონ! ისევ ქალაქის დახლში არ უნდა მივიდეს ფული?

— სულ რამდენი მოსამსახურე ჰყავს ქალაქის სამმართველოს?

— ორი ათასი კაცი.

— ყველანი მუქთათ დადიან?

— ყველანი. და არა მარტო თვით მოსამსახურენი, მათი ოჯახობაც ყველა მუქთათ დადინ. რა ჭკუაა, რომ ფული იხადოს? ხომ ისევ ქალაქის დახლში,..

კიდევ ჩამოიარა ვაგონმა და არც ის გაჩერდა.

— ამ ვაგონით კონდუქტორები მიდიან ერევნის მოედანზე, იქიდან ფასიანი მგზავრები წამოვლენ.

მომწყინდა ცდა და ფეხით წავედი. გზაში დამეწია ერთი ვაგონი, ჩამიქროლა და ჩემ თვალ-წინ გასრესა ერთი მოხუცი.

მიცალებული ავტომობილით მიასვენეს სამკურნალოში საექიმოთ.

ქვემოდან მეორე ვაგონმა ამომიქროლა და ერთი ახალგაზდა კაცი გასრესა. ესეც სამკურნალოში მიასვენეს.

შემებრალა ქალაქის გამგეობა და მივმართე ერთ ნაცნობს:

— საბრალო ქალაქის გამგეობა! ესე თუ სრასა ტრამვაიმ ხალხი, ვინ იცის რამდენ ფულს გადიხდის გასრესილთა ჭირისუფლების სასარგებლოთ.

ნაცნობმა ჩაიცინა.

— ნუ გებრალებათ. ქალაქის გამგეობა არაფერს იხდის ტრამვაისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. ყველა მოვალეა თავის თავს გაუფრთხილდეს.

ახალმა წესებმა გამაკვირვა. თურმე ქალაქის გამგეობამ დაითხოვა საკუთარ ტრამვაის კონდუქტორები. ვატმანების დათხოვნაც უნდოდა, მაგრამ მოუხერხებელი შეიქნა.

გამიკვირდა. ნეტა ვინა ჰყიდის ეხლა ბილეთებს. თუმცა მე არ მეღირსა ტრამვაით სიარული, მაგრამ ასე მითხრეს—ეხლი ახალი წესებია. ვისაც ტრამვაით სიარული უნდა, წელიწადში ათასი მანათი უნდა მიართვას ქალაქის გამგეობას, მიიღებს მოწმობასა და ნება-რთვას—მაშინ უნდა იაროს ტრამვაით, როცა ვაგონში არ იქნება არც ერთი მოხელე ქალაქის გამგეობისა და არცა მეუღლე მისი, არცა შვილი, არც და, არც ძმა, არც მამიდა ან დეიდა და არც სიძე-სიმამრი.

ეს წესი ძლიერ საკვირველ წესად მივიჩნიე, მაგრამ საიდუმლოება ძლიერ მალე გამომეცხადნდა. ასე მითხრეს: ძლიერ კარგი წესია. ათიოდე წლის შემდეგ მთელი ქალაქი დაუნათესავდება ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებს და მაშინ ყველანი ტრამვაით ივლიან უფასოთ.

უნდა მოგახსენოთ ეს წესი არაფრათ მეპიტნავა. დიდ ხანს დავდიოდი ფეხით, მოვიქანცე და გავჩერდი ქვა-ფენილზე. ჩამოიარა ვაგონმა, გადასცდა ლიანდაგს და დამეტაკა... ვაიმეს დაძახება ვერ მოვასწარი და... გამომეცვიძა.

მადლობა ღმერთს... სიზმარი ყოფილა.

გამოველ ქუჩაში. ტრამვაის ვაგონები ჩვეულებრივ დადიან. მადლობა ღმერთს. გაუმარჯოს ღმერთმა დაჩაგრულ ბელგიელებს...

ეშმაკის ფეხი.

ტელეფონი

— ჭეშმარიტად აღსდგა, ჩემო კირილე... შე არ მოუკვდე ჩემს თავს, კაი დროება გავატარე კი არა ცოლმა თავი კინეღამ გამიხეთქა... რავა, რეიზა ძამია, ღვინო ვერ ვიშონე და „ვოტკა“, კვერცხი ვერ ვიყიდე და ბატკანი და ისე აღდგომა გინდა იყოს და გინდა არა... თითო ბატკანს რვა მანათ ნაკლებ არ ყიდდენ და რვა მანეთათ ზოგიერთი მოსახლე კაცი თლათ არ ღირს... მეტი გზაი არ მქონდა, ისევლე უწკიპურტე ფილა აღრიანათ „ვიზიტებზედ“. ჩემს ცოლს დაუბარე, გაჩერდი გარეთ და თუ ვინმე მივიდეს ასე უთხარი: ჩემს ქმარს მოუვიდა ამხანაგები, ერხანს სვეს, იქეიფეს და მერე ძალით წეიყვანეს თქო... კი, მშიერი არ დავრჩენილვარ, მარა სადაც მივედი „სტოლი“ პაწე ყოლგან შელანძღული დამხვედა. ზოგი უკვერცხობაზე იხდიდა ბოდიშს, ზოგი „ვოტკაზე“ და ზოგი ბატკანზე, მარა ერთ ოჯახში ქე იყო „სტოლი“ გვარიანი გაწყობილი და მეც იქინე შეეაჩერე ჩემი „ვიზიტი“. მასპინძელი ხშირათ მიმიშვერდა ხელს „ბლუდზე“ მიირთვი შინაური ბატკანიაო, მარა ათას ხატზე დევიფიცავ, რომ ტყულს ამბობდა. რაღაც მე კიტაიის ბოგდიხანი არ ვყოფილვარ, ისე იგი ბატკანი არ ყოფილა. მართალია, თავი და ფეხები არ ქონია, მარა გემოით მიეხვდი, რომ ციკანი იყო... ჰო, და აგაშენა ღმერთმა, აგი ყველა ვეპრების და ჩარჩების საქმეა, ხომ გაგიგონია: „სოფელი ვნახე უძაღლო შით გეკიარე უჯოხოოო“. რას ამბობ კაცო, რომელი ნიხრიაო? მაგ შენ სიტყვებზე იცი რა მაგონდება? მოძრაობის დროს გურიაში ჯვარის დაწერაში ხუცეს სამ მანეთზე მეტს არაკაცი არ აძლევდა. სწორეთ იმ ხანებში ერთმა ჩემმა მეზობელმა დეიწერა ჯვარი, ხუცეს სამი მანათი შეაძლია და უთხრა: მამაო ეხლა ერთობის ძალით მეტი არ გეკუთვნისო. მამავ და შვილო, მეც ერთობის კაცი ვარ, მარა ჯვარსაწერი კი თუმანი უნდა მომცეო... აქანეც ისეა ძამია, ნიხრი ოცდა ათი გზობა დაიწესეს, მარა ვაპრები მაინც კუდის რიკამდე გვაძრობს ტყავს... შვიდოდობით ჩემო კირილე, შვიდობით და თუ დროი დაგირჩეს ხანდისხან დამიწკირუნე შე კაი კაცო.

რ. ჯიბილ.

წერილი მაგა ფუტიძეს

რაც მე „მათრახში“ ჩავსწერე
შენი ყოფა და ქცევანი,
(თუმც ვერ ავსწერე სრულათა
შენი ზნეობა ყველანი).
მას შემდეგ, ვაგლახ, აგიტყდა
თავის ფხანა და ხველანი
და ეძებ დამწერს,—რათ გინდა
პეტრე არის თუ ლევანი?
თავი რათ იცან ფუტიძეთ
თუ შენ არ შეგებებოდა,
მისი უზნეო ქცევანი
შენ ხომ არ წაგეცხებოდა?
(არ გეცნა თავი, ნამუსი
ხომ არსად გაგექცეოდა).
პილპილი რომ არ გეკმა
არც პირი აგეწვებოდა.
ბრალს ნუ სდებ სანდროს ტყვილათა,
ის აქ არაფერ შეაშია,
მესტვირეობა ამისი
საიდან მოგდის თავშია?
რომ გამომეცანდა წერილით
შენი ზნეობა ხალხისა,
გეწყინა?—ადრე გეფიქრა,
ეხლა არ მოგდის ჭკვაშია?
(სიმართლე არის მუდამ
„ბერი ქედანის“ თქმაშია).
ხელ-მარჯვედ რომ ვერ გადაგკარ
ზურგზე მათრახის წვერია,
განა იმიტომ მემდური,
იმიტომ გამიწყარია?
გთხოვ მაპატივო, მამაო,
ჩამოიბერტყე წვერია.
(შეცოდებისა შენდობა
სახარებაში სწერია).
შენც, ვით მორწმუნემ ღვთისაგან
მტკიცეთ დაიცვე მცნებანი,
შველიდე მოყვასს ჭირშიდა,
არ მიაყენო ვნებანი.
გეყოფა, აწ მოიშალე
უზნეო ყოფა-ქცევანი,
თორემ იგემო კვლავაცა
ზურგზე მათრახის ცხებანი.

ბერი-ქედანი.

მათრახი

(ძველნათ ზოგ სამტრედიელ ვაჭრებს)

„რასაც მოასწრებთ თქვენია,
რაც არა დაკარგულია,
თქვენი სინდისი, ნამუსი,
მხოლოდ ფული და ფულია“.

დასტკბით, დასტკბით, ინტარეთ
დრო დაგიდგათ შესაფერი,
ვინ დაგიშლით, მამა-სისხლათ
გაამტერეთ ყველაფერი!
ნუ დაზოგავთ საწყალ გლეხებს,
დააბჯინეთ ყელზე დანა;
თქვენთვის არის გაჩენილი
დასაქცევი ეს ქვეყანა.
ომის ველი სისხლით ირწყვის,
სოფელია დამშეული,
თქვენ კი ამით ისარგებლეთ
ჩაიჯიბეთ ბლომათ ფული!

ვაჭრების თათბირი საქონლის გაძვირების შესახებ.

დე იტანჯონ ქვრივ-ობლებმა
დე იძახონ: მშია, მშია?!
მერე რაო მეტყვით, გოგი
ან სპირდონი რა შვაშია?

ან თუ რამე დაეშავა
ფელხაზჩიმა ისიდორემ,
იოსებმა, ან კაცაძემ,
ან ტიოხმა ან მეორემ?

ყური მიგდეთ, კრება ენახე
ამათ მიერ მოწვეული,
და თათბირი გაემართათ
საქმიანი, მეგობრული.

კახელ გურულ „ორატორი“
დაბის დიდი მოამაგე,
დადგა ფეხზე და აღელო
მჭერ მეტყველი თვისი ბაგე:

„ბეტეუფით ამსა თქვენ მეგობარნო,
საქმენი ჩვენნი ცუდათ არიან,
ბონზე მოგდეთ თორემ შემეგეშა
დამარწმუნებით იქნებიან გვიან.

აქა კაეგე კანუზრახაეენ
ბოეერაციის დაარსებანი,
და თუ ეს მოხდა, დამეჯერეეთ
დეეიდუნებით ეეედა დმერთმანი.

— მართალია დასძახეს ერთხმად,
უნდა ვებრძოდოთ ბორტებსო,
თორემ ბლუსები კაგვაკოტრებენ
დაბეტაცებენ ჩვენს ქონებასო.

— მეცა ამსა მოკახსენებდით
ამა სადა აქვთ მაგთ ზრდადობა,
ან რა იცია ჩვენი საქონლის
მოტანიდობა-დაეედომიდობა!

ეს სოქეა კითრგიმ, მეთსვე დადუმდა
სიდორ ფეედასზაიჩ ნამოდგა ზეზე,
იწეა-ეტანეა, „ითალტორა“,
ბეერი ეეებედ მშრომეედ-ბლუსებზე.

ურჩეა ბლუსებსო, დაეაეერებო,
რომ ცუდი არი კოპერაცია,
თორემ დმერთმანი ჩვენსა დაბაში
დაიდუმეთსო ეეშართ ნაცია“.

და გაიეეეს იმათ შორის
სიდომ ბლუსებს მიაშურა,
აქ ვაჭრებში დატრიალდა
გაიძვერა გოგი, ტურა.

და მეის შეესძახე: გაუმაძღარნო,
აღარა ზოგავთ სოფელსა განა?
რომ მათ მოსტაცეს დღეს მარჩენალი
უნდა შეეპამოთ მთელი ქვეყანა?!.

გავატკაცუნე მათრახის კუდი,
გამოვიჩინე მკლავისა ძალა,
და თავ-მომწონე „ორატორები“
გადადიოდენ სულ ყირამალა.

ალი.

„ოსია“ და „სოსია“.

„ოსიამ“ უთხრა „სოსიას“:
დღე მადგას მეტად ცუდიო,
(სასტიკი, დაუნდობელი,
როგორც ვაენი სუდიო!)
თავზედ მანდილი დამადვეს,
(აღარ მახურავს ქუდიო)
და ვერც ხმას ვიღებ შიშითა,
(ამოვიძუე კუდიო!).

მათრახი გამკრეს გვერდებზედ
(ახალი, თანაც ძველიო!)
ამ ჯოჯოხეთის ჭინკებმა
ლამის მომტეხონ წელიო!..
მეგობარს გაჰივრების დროს
უნდა შეუწყო ხელიო...
მიშველე რამე „სოსიავ“,
შენს დახმარებას ველიო.

—

„ოსიიამ“ უთხრა „ოსიას“:
ნეტა შენ რაღას ყვირიო!
(მე რომ მათრახი მომარტყეს
ვერ გაუძლებდა ვირიო),
მაგრამ ხმას მაინც ვერ ვიღებ,
(აკონილი მაქვს პირიო),
მხოლოდ კი, შეუმჩნეველად
დღეი და ღამე ვტირიო!

შენც თუ მოგარტყეს მათრახი
საქმე უქნიათ კარგიო,
(გაიძვერა ხარ, ყაჩაღი
ციმბირში დასაკარგიო).
მაგრამ მე რაღას მერჩოდენ,
რომ არ ვარ შენი დარგიო!
(მე სამთხისა განძი ვარ,
შენ — ჯოჯოხეთის ბარგიო).

—

„ოსიამ“ უთხრა: „ოსიავ“!
შენ კი შეგირცხვეს თავიო.
(ნეტავი სულიც ამოგძვრეს
მე არ ჩავიცვა შავიო!)
ბარემ გაგიხმეს შე ჩარჩო
ეგ პირი, ანაკრავიო,
მე რომ ყაჩაღსა მეძახი,
განა, შენ კი ხარ კრავიო?!

—

„ოსიამ“ უთხრა: „მაშ კარგი,
რაც გითხრა დამიჯერეო,
(ორთავე მოდეწენი ვართ,
უნდა ვიშრომოთ ჯერეო).
ეშმაკებს ზურგი ვაქციოთ,
(პირჯვარი დაიწერეო),
მე ხალხში „ცოდნას“ შევიტან,
შენ — „მეთაური“ სწერეო!..

—

ვაი „ოსიაო“-„ოსიასა“
და მისებრ მავნე კაცუნებს,
ვისაც რომ ჩვენი მათრახი
გაჭკრავს და გაუტაკაცუნებს.

ეშმაკეული.

„შენ ხარ სუქველა“

ამ სათაურით გამოვიდა შედგენილი და გამოცემული წიგნაკი ილიკო რუსველისა.

მაღლობა ღმერთს. ჩვენს ქვეყანას ერთი მგოსანი კიდევ მიემატა. ძნელი არ არის იმის გამოცნობა, თუ ვინ გახლავთ ეს ახლად მოვლინებული მგოსანი. წიგნაკს ჩართული აქვს მგოსნის სურათი და ქვეშ აწერია: ილიკო რუსსელი (სავიკი).

სურათი გვაჩვენებს, რომ ილიკო რუსსელი ჯერ სულ ახალგაზდა კაცია, უწვერ-ულვაშო. ახალ-გაზდა კაცს და ისიც მგოსანს, რაღა თქმა უნდა, ქალი უნდა უყვარდეს. მგოსანი რუსსელიც „შეყვარებულია“. მაგრამ მას ერთი ქალი არ უყვარს. ეს ხომ ყველას შეუძლიან. მგოსანს უყვარს საზოგადოდ ქალები და არა ერთი ქალი. უყვარს მარგო, რომელსაც უძღვნის აკროსტიხს, უყვარს დარო, რომელსაც უძღვნის ლექსს „შუა ღამეა“, უძღვნის ლექსს სოფიკოს, უყვარს ქეთო, ლექსს უძღვნის კატოს და გარდა ამისა, როგორც ლექსებიდანა სჩანს, კიდევ მრავალი სატრფო ჰყავს. ვინ მოსთვლის?!.

გნებავთ დასტკბეთ რუსსელის ლექსით?

ბატონი ბრძანდებით. ერთ ლექსს წაგაკითხებთ.

„17 ენკენისთვე“

(ვუძღვნი სოფიკო აბ—ძეს)

მთვარემ პირბადრეგ — მე დამანახვა,
ყურმა მსმინა ტკბილი ჰანგები,
მე გაშტერებით ვიდექ ქვაებრივ,
თავს დამფრინავდენ გუნდათა მტრები.

თითქოს ღელენთ ყველა მსმენდა,
რომ შენ სახელის არს დღეს წოდება,
მე-კი უბედურს მთლად დამეკარგა
ყოველი ხსოვა და ზედ გონება.

რა-კი აგრეა; იქეც დიდებათ!..
მაგ შენს სახელსა უძღვნნი ჟამიერს,
რომ მაგ თვალებმა—გზა გაგინათონ
შენ სამშობლოში, მხარე ამიერს!..

თუ რომელსამე სოფიკოს მოსწონს
მგოსანი რუსსელი, ამ ლექსს ზეპირად დაისწავლის, სურათს ამოსჭრის
წიგნაკიდან და საწოლ ოთახში მიკრავს კედელზე.

ამა დაკვირდით ამ ლექსს, რა მოხერხებულად არის დაწერილი:

„მთვარემ პირბადრეგ — მე დამანახვა“.

ნამდვილი შარადა. გამოიცანთ, რა დაანახვა მთვარემ მგოსანს? ნიძლევსა ვსდებ, ვერ მიხვდებით, რადგანაც თვით მგოსანი არას ამბობს რა დაანახვა პირბადრე მთვარემ? რაღაც უცნაური და საშინელი რამ უნდა დაენახვებინა მგოსნისათვის, ისეთი საშინელი რამ, რომ მგოსანი გაშტერებით იდგა ქვასებრივ და თავს დაფრინავდნენ გუნდათა მტრები. მერე რას ერჩიან მგოსანს ჯერ ეს პირბადრე მთვარე და მერე ეს გუნდათა მტრები? საკვირველია სწორეთ... მთვარეს მგოსნები „დამწვათ იმედს“ უწოდებენ. და მარტო ამ ახალ მგოსანს შემოსწყრა მთვარე და დაანახვა ისეთი რამ საზარელი, რომ მგოსანი ქვაებრივ გახდა. ეს გუნდათა მტრები რაღას ერჩიან? ეს შარადა ადვილი გამოსაცნობია: რუსსელს დავიწყებია, რომ „17 ენკენისთვე“ სოფიკოს სახელ წოდების დღეა. მოდი და ნუ გაუწყრები მგოსანს, რომ ეს დღე დაავიწყდა!.. მე კი მგონია, რუსსელს ეს ეპატიება, რადგანაც უბედურს მთლად დაეკარგა „ყოველი ხსოვა და ზედ გონება“. რაღა საკვირველია, რომ ხსოვა და გონება დაკარგული მგოსანი სოფიკოს სახელს უძღვნის ჟამიერს და ამიერს...

ერთი კარგი ლექსიცა აქვს რუსსელს: შუადამეა. (დაროს უძღვნის). შუა ღამეს მგოსანს აბა რა დააძინებს? ხედავს, რომ

„შორს, შორს მოსჩანს — თვით ალაზანი,
რომელსაც სძინავს — ძილში-კი ჰლელავს“.

ძილში ღელვა ცოტათი ძნელია, მაგრამ რას არ მოახსირხებს **თვით** ალაზანი, თუ მგოსანმა მოიხედოს. ბ-ნი რუსსელი თვით ფოთლებსაც აძინებს ხეებზე. არა გჯერათ? წაიკითხეთ:

„მთლად არე-მარე — მიყუჩებული,
ტყეში ფოთლებსა ხეებზე სძინავთ
ჰაერი მქრალა! მიგუებებულ!..

არ ვიცი, ტყეში ფოთლებსა ხეებზე სძინავთ თუ არა. ვიცი, რომ **ქათმებსა სძინავთ. მაგრამ ეს მიგუე-**

ბებული ჰაერი როგორია!.. მიგუე-
ბებულ ჰაერში, რაღა თქმა უნდა,
გაისმა ბულბულის სტვენა და რა
მოხდა მაშინ... ვერ იტყვის ენა...
მგოსანი სწერს...

„და რომ ვიწერე პირველი სამჯერ
შენ მომეჩვენე ძვირფასო შენა“.

კარგი რომ სამჯერ იწერა პირველი... ოთხჯერ რომ დაეწერა, ვინ იცის სოფიკოს მაგიერ ტყეში და ისიც შუა ღამისას რა მოეჩვენებოდა? ხომ მოგეხსენებათ, ტყე სავსეა ქაჯებითა და ჭინკებით.

კიდევ ბევრი ხელის ხელ საგოგმანებელი მარგალიტებია რუსსელის მიერ „შედგენილ და გამოცემულ“ წიგნაკში, მაგრამ ამ მარგალიტებს ამოკრეფა არ უნდა? თუ არ მოგეწყინებათ, ზოგიერთებს მოვიძებნი:

„შენ ხარ არწივი,
თავზე დამწივი.
შენ ხარ „ბულბული“—
ჩემი სულდგმული“.

თავის სულდგმულ ბულბულს მგოსანი მუდამ ფრჩხილებში სვამს. რა დაეშავა საბრალომ?

ჯერ ბულბული გალიაში არავის ჩაუსვამს და რუსსელს სულ ფრჩხილებში ჰყავს ჩასმული.

მგოსანი ეტრფის:

„მაგ ლოყებზედ აქა იქ ფანტულს—
პატარ-პატარა მშვენიერ ხალებს“...
„წველ, შორს წველ—სულ სხვა ქვეყანას;
ვფიქრობ:—იქნებ გავხდე რამეა??“
„ან რა ვიცოდი, რომ ეგ კბილები
ლამაზია—ოქროს ტუჩებში“...

რა არის მგოსნის გემოვნება?!. ბებია ჩემს ორი კბილი აქვს ოქროსი. რო იცინის, ამ ოქროს კბილების დანახვა არ ბომწონს. ოქროს ტუჩები რომ გაიკეთოს, რუსსელის გარდა ვის მოეწონება?.

ბოდიშს ვიხდი. ერთი ლექსიც რუსსელისა: „რა ვარ, რისთვის ვარ, რა უნდა ვაკეთო!?“ ბულბული სტვენს, ტყე ამწვანებულა, მინდორი ველი ბუნებას ეტრფის და

„შიგ, შიგ მოისმის შაშვის ჯახჯახი!
დათვის ღმუილი,
შეერთებული მათ ხმასთან ერთად
ძაღლის ღმუილი.
. . . . . .
და მე არ ვიცი—რა ვარ, რისთვის
რა უნდა ვაკეთო?
რიომე მანიშნე მომეც პასუხი, ძლიერო ღმერთო!“

ჩემი აზრით, რუსსელს შეუძლიან ორი გზა აირჩიოს: ან დათვისა და ძაღლის ღმუილს თვისი ლექსები შეუერთოს. მშვენიერი კონცერტი გამოვა... ან არა და... ყველაფერს ისა სჯობია, რომ ლექსებს თავი დაანებოს და სხვა ხელობა აირჩიოს.

ჭინკა

არჩევნები

(თფილისის ნოქართა კლუბში)

ჩვენი ნოქრების პირველმა კლუბმა შარშან უეცრივ ფერი „იცვალა“ და ულმობელმა შავმა სიკვდილმა ამ ქვეყნათ ყოფნა აღარ აცალა...

ტერ-გეურქებმა, კარაკაშებმა ყოფილ „სტარშინებს“ შემოუთვალა: აწ ხომ გაიგეთ, ჩვენცა გვქონია კლუბის „საკეტი“ საკმაო ძალა. რად გაგვაშავეს არჩევნების დროს, შავმა კენჭებმა თეთრს რად დასძალა? იმისთვის მოხდა, რომ თქვენი კლუბი მოულოდნელად გარდაიცვალა...

როცა გაიხსნა მეორე კლუბი „კომერციულად“ წოდებული, იქ არა სჩანდა ტერ-გეურქოვი და კარაკაში „დიდებული“.

არჩევნების წინ ზეგრად შემოძვრა ტერ-გეურქოვი, როგორც მელია, და მოინდომა მან „სტარშინობა“ ყუთი დაიდგა უეჭველია.

შეკრიბა თვისი ამქარ-დამქაში, დაიწყო ჩუმი „აღიტაცია“, მათ დაუმტკიცა, რომ ტერ-გეურქა პატიოსანი, კარგი კაცია...

შეიქნა კენჭის რიხინ-რიხინი ტერ-გეურქასი ვიეიხო ყუთი, როცა დასთვალეს სულ შავი იყო, თეთრი აღმოჩნდა ოთხი თუ ხუთი.

გახმეს, დამიწდეს იგი მარჯვენა, რომელმაც შავი კენჭი გასთალა და ტერ-გეურქას „სტარშინობისა“ სკამ-სავარძელი გამოცალა...

ზენათობა.

გამოცანა

(გურიისთვის)

ის ვინ არის ქმარიანმა
ყაჩაღი რომ შეიყვარა, —
და თავის ქმარს—ჯეელ ბიესა—
გულში დანა გაუყარა?!
ამის გამო თავის რძალი
გალახა და გაამწარა?!
აბა მითხარ თუ იცანით—
ოლღა ქვია თუ თამარა?!.

ამ როსკიპს რომ ხელს უწყობდენ,
ისინი კი ვინღა იყო?
თუ გაიგოთ, ჩქარა მითხარ,
ალითია თუ ლიზიკო?!.

ბზიკაძე.

დეპეშები

ჩოჩხათი. უზნაურ თ-ს მეთაურობით შემდგარი შინტაჟისტთა ორგანიზაცია ჩაფლავდა.

სუფსა. ივანე და მისი აფერადებული პარტია დიდი მოხარული იყვნენ ფაშობის მიღებაზე, მაგრამ დრონი იცვალენ და იგინმაც ვახტანგის ვირივით ჩამოყარეს ყურები.

კუდიანი.

—

არდაგანი. გავრეკეთ თათრები თუ არა, დავაარსეთ „სოციალიზმი“:

შენი სახლი, ჩემი ოდა, იმის ნალია, ამის ბეღელი სულ ერთია სადაც გავჩერდებით.

შენი ძროხა, ჩემი ხარი, იმის ცხვარი, ამის თხა — სულ ერთია ერთ ქვაბში იხარშება.

შენი გაზეთი, ჩემი ჟურნალი, იმის წერილი, ამის ამანათი სულ ერთია ჩვენს ფოსტაში ვინც წაიღებს.

ცხენოსანი, ფეხოსანი, ქართველი, რუსი აფიცერი — სულ ერთია, ერთნაირათ დასდევენ „სესტრიცები“.

ჟურნალისტი

წერილი რედაქციას

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს, სოფ. მარტყოფიდან მოწერილ ამბის საპასუხოთ, რომელიც იყო მოთავსებული თქვენ ჟურნალის მე-6 ნომერში.

როგორც ეტყობა კორესპონდენტი მართლა ძალიან ენა წყლიანი და ხუმარა იუმორისტი ყოფილა, რომ სიმართლესთან ახლოს იყოს. მისი მოწერილი ამბავი უფრო გამოცანაა, რომლის გამოცნობა თითონ მისთვის მიმინდვია, გასამრჯელოთ მიიღოს ჩემგან რაც სამმო უულაბებიდან მიმითვისებია სულ უკლებლივ. ჯილდოს გარდა ავტომობილთ ვპირდები სეირნობას, სადაც კი მოისურვებს. თუ არ აპიხსნის ამ გამოცანას, მაშინ იძულებული ვიქნები „სხვა საშვლებას მიმართო.

მღვ. ა. ეპიტაშვილი

დიდის სიამოვნებით ვეთანხმები მაღლაკის მეფეობაზე ბ. ფ. ნიკარაძეს გავაკეთ „ბუნებისმეტყველ სამართალში, იმ პირობით, რა პირობებშიაც თითონ მიწვევს. ჩემის მხრით მედიატორერთ ვასაპელებ ბ. ბარნაბ ვახუშტის ძე ნიკარაძეს. მხოლოდ გარჩევა უნდა მოხდეს არა ადრე აპრილის დამლევ რიცხვებისა, რადგანაც მანამდე დრო ნებას არ მაძლევს დავესწრო და დასამტკიცებელი საბუთებიც წარვადგინო.

ს — ნი.

რედაქციისაგან.

ვაცხადებთ, რომ „მათრახის“ მე-6 ნომერში მოთავსებული მესტვირული (ახალ-სარაკისათვის) არ შეეხება იულონ ერასტოაძე ჭკოდუას, რომლის კი-ეაკობა ცნობილია მთელ ახალ-სენაკში. ის შეეხებოდა ისეთ ჭკოდუას, რომლის ავ-ეაკობა მხოლოდ ეშმაკებმა იციან.

ამ ჩვენს თბილისის ფოსტაში, ვიღაცა ეშმაკეულმა, ასეთი გასართობები „უნდა გამართოს წყეულმა!.. შემდეგში ხალხსა ლოდინით აღარ ჩამოეძინება, (ამ გვარი სურათის ცქერა ან კი ვის მოეწყინება?!)